ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N6

დაბა ქედა, **10 ნოემბერი, 2025 წელი.**

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
რამაზ თავდგირიძე - კომისიის წევრი;
ჯამბულ შარაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი:
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ნანა ბერიძე - საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში;
ეკა გოგუაძე - ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

სხდომას ასევე ესწრებოდა:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ეკა გოგუაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

10.11.2025 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ცინცაძე	კომისიის წევრი	
4	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
7	რამაზ თავდგირიძე	კომისიის წევრი	
8	ჯამბულ შარაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. **„ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროეტი;**

მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარე ამირან წულუკიძე

2. **ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში.**

მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის
თავმჯდომარე ამირან წულუკიძე

1.მოისმინეს: სხდომის თავჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროეტი (განცხადების ნომერი: 12-95253141-95; განცხადების თარიღი: 10.11.2025).

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - ეკა გოგუაძემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებათა რეესტრი და ისაუბრა თითოეულ მუხლში შესატანი ცვლილების აუცილებლობაზე.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) პროეტი საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

2. მოისმინეს: სხდომის თავჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2025 წლის 22 ოქტომბერს წარმოდგენილია „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში“. (განცხადების ნომერი: 12-95252952-95; განცხადების თარიღი: 22.10.2025).

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2025 წლის III კვარტლის შესრულების ანგარიში“ განხილულ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:30 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში ნანა ბერიძე